

## ხშირად დასმული კითხვები

**1.** მოეთხოვებათ თუ არა საქართველოში, საბითუმო ბაზარზე რეგისტრირებულ მომხმარებლებსაც GO სერტიფიკატების დამატებით შესყიდვა, თუ ასეთი მომხმარებელი უკვე პირდაპირ ყიდულობს ელ. ენერჯიას განახლებადი ენერჯიის წყაროდან შესყიდვის ხელშეკრულებით?

**პასუხი:** ანგარიშის მფლობელი შესაძლებელი იყოს მსხვილი მომხმარებელი, ტრეიდერი, მიმწოდებელი, მწარმოებელი. მსხვილ მომხმარებელს შეუძლია დარეგისტრირდეს პლატფორმაზე და შეისყიდოს სერტიფიკატები მწარმოებლისგან ან ტრეიდერისგან.

**2.** თუ დადგმული სიმძლავრის გაზრდისას, დამატებითი სალტე არ იქმნება ამ შემთხვევაშიც არსებობს შეტყობინების ვალდებულება?

**პასუხი:** სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას, კერძოდ ანგარიშის მფლობელმა დადგენილი ვადის დაცვით უნდა წარმოადგინოს შევსებული ანგარიშის განახლების ფორმა და ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

**3.** შესყიდვის ხელშეკრულება და მის საფუძველზე MMS ში მხარეებს შორის გაკეთებული ჯვარედინი ნომინაციით აღარ დადასტურდება რომ ენერჯია შევისყიდე განახლებადი ენერჯიის წყაროდან?

**პასუხი:** განახლებადი წყაროდან ენერჯიის წარმოება დასტურდება მხოლოდ წარმოშობის სერტიფიკატით, რომელსაც გასცემს გსო, რეგისტრირებულ წარმოების საშუალების წარმოებულ ერთეულ მგვ/სთ ენერჯიაზე, პლატფორმის მეშვეობით.

**4.** თუ კანონმდებლობით არ იქნება მოთხოვნა და ვალდებულება მომხმარებლებმა შეიძინონ მწვანე სერტიფიკატი ელ. ენერჯია, მაშინ მოთხოვნა საიდან იქნება?

**პასუხი:** საწყის ეტაპზე სერტიფიკატების გაცემა/გადაცემას ექნება არასავალდებულო ხასიათი, რადგან ინერგება ახალი რეფორმა და მიზანშეწონილია დაინტერესებული მხარეების ცნობადობის ამაღლება, თუმცა მომავალში აღნიშნული განისაზღვრება ვალდებულებად.

**5.** თვის დასრულებიდან რა ვადაში გაიცემა სერტიფიკატი?

**პასუხი:** სერტიფიკატები გაიცემა საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 8 კალენდარული დღის ვადაში.

**6.** ორმხრივი ხელშეკრულებით ვისზეც არის გაყიდული განახლებადი წყაროდან მიღებული ენერჯია ის ავტომატურად იღებს მწარმოებლისგან ამ სერტიფიკატს?

**პასუხი:** სერტიფიკატი ავტომატურად არ მიჰყვება გაყიდულ ენერჯიას, თუ ამაზე არ არის დამატებითი ხელშეკრულება გაფორმებული ან ენერჯიის გაყიდვის ხელშეკრულებაში არ არსებობს დამატებითი პირობა სერტიფიკატის შესყიდვის შესახებ და სერტიფიკატის გაცემა გადაცემა არ არის ინიცირებული პლატფორმაზე.

**7.** TSO-ს ავტომატურად ენიჭება მწვანე სერტიფიკატების გაცემის კვალიფიკაცია?

**პასუხი:** განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და წახალისების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯიის მწარმოებლის მოთხოვნის საპასუხოდ გასცემს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელ. ენერჯიის წარმოშობის სერტიფიკატს.

**8.** სერტიფიკატის გაცემაზე მიმწოდებელს რაიმე ფინანსური დანახარჯის გაწევა მოუწევს? მაგალითად პლატფორმაზე რეგისტრაციისათვის?

**პასუხი:** პლატფორმაზე რეგისტრაცია პირველ წელს იქნება უფასო ასევე უფასო იქნება რეესტრში ანგარიშის მართვა და სერტიფიკატის გაცემა/გადაცემა და პლატფორმაზე განსახორციელებელი სხვა ოპერაციები.

**9.** სერტიფიკატი გაიცემა ფაქტიურად გენერირებულ მოცულობაზე? თუ ნომინირებულ მოცულობაზე მომხმარებელზე ნომინირებულ მოცულობებს ვყიდით და სერტიფიკატი ფაქტიურ გენერაციაზე თუ გაცემული ამ შემთხვევაში თანხვედრა როგორ უნდა მოხდეს? სად მიდის სხვაობა?

**პასუხი:** სერტიფიკატი გაიცემა ფაქტიურ გამომუშავებულ ენერგიაზე და არა ნომინირებულ მოცულობაზე, შესაბამისად, ფაქტიური და ნომინირებულ შორის სხვაობა არანაირ გავლენას არ ახდენს გაცემული სერტიფიკატების რაოდენობაზე.

**10.** ტრეიდერსაც შეუძლია განაცხადის შემოტანა და ის როგორ ადასტურებს წარმოშობას?

**პასუხი:** ანგარიშის მფლობელი შესაძლებელი იყოს მსხვილი მომხმარებელი, ტრეიდერი, მიმწოდებელი, მწარმოებელი. ტრეიდერი არ არეგისტრირებს წარმოების საშუალებას და შესაბამისად, არ აქვს ენერჯის წყაროს დადასტურების ვალდებულება. ტრეიდერს შეუძლია წარმოების საშუალებისგან შეისყიდოს სერტიფიკატი და გადასცეს სხვა ანგარიშის მფლობელს.

**11.** წარმოების სერტიფიკატს თუ ექნება საერთაშორისო ავტორიზაცია? შესაძლებელია თუ არა საქართველოში გაცემული სერტიფიკატები გაიყიდოს ევროკავშირის სერტიფიკატების ბაზარზე? იგეგმება თუ არა AIB ჰაბის წევრობა?

**პასუხი:** საწყის ეტაპზე AIB ჰაბის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე იგეგმება განაცხადის შეტანა, შემდგომ როდესაც ენერგეტიკული გაერთიანება უზრუნველყოფს ევროკავშირთან სერტიფიკატების ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას, საქართველო შეძლებს გახდეს AIB ჰაბის წევრი, ევროკავშირმა აღიაროს ჩვენი სერტიფიკატები და შემდგომ მოხდეს ევროპულ ქვეყნებთან ვაჭრობა.

**12.** თუ მომხმარებელი ვერ ასრულებს ვალდებულებას, რომ მოხმარებულ ელექტროენერჯის სრულ მოცულობაში გარკვეული წილი განახლებადი ენერჯის წყაროებიდან აქვს შესყიდული, დადგენილ პროცენტში, რა ხდება: 1) მომხმარებელი ჯარიმდება? 2) მომხმარებელს მოეთხოვება შეამციროს მოხმარება; 3) თუ სხვა რამე ხდება?

**პასუხი:** მომხმარებელი არ ჯარიმდება და არ მოეთხოვება შეამციროს მოხმარება, რადგან კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, რომ მომხმარებელი ელექტროენერჯის სრულ მოცულობაში გარკვეული წილი განახლებადი ენერჯის წყაროებიდან იყოს შესყიდული.

**13.** იმ ჰესებისთვის, რომელთაც რამდენიმე წლიანი PPA აქვთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ სერტიფიკატს? რა დაინტერესება უნდა ჰქონდეს ამ სერტიფიკატის მიღების კუთხით, ვის უნდა მიჰყიდოს?

**პასუხი:** სადგურები, რომლებიც ჩართულები არიან მხარდაჭერის სქემებში, რეგისტრირდებიან პლატფორმაზე და მათზე გაიცემა სერტიფიკატები. წელიწადის ის პერიოდი როდესაც სს „ესკო“ შეისყიდის ენერჯიას აღნიშნული სადგურებიდან სერტიფიკატის მფლობელი არის სს „ესკო“, ხოლო პერიოდი როდესაც სადგურები არ იღებენ მხარდაჭერას სს „ესკოსგან“, სერტიფიკატის მფლობელი არის წარმოების ობიექტი.

